

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №14 , მუხ. 50) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის 21-ე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ“ ცნობა საგადასახადო ორგანოებიდან მოვალის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამოშლის თაობაზე.

2. 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხვაზე დადგეს შესაბამის საგადასახადო ორგანოში (გარდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისა), ადგილმდებარეობის მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში;”

3. 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „ტ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) უზრუნველყონ ამ კოდექსის შესაბამისად გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაცია (რეესტრის წარმოება) და მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება (გარდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისა).“.

4. მე-100 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 100. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება.

1. საწარმო/ორგანიზაცია (გარდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისა) ვალდებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე

განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით.

2. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ვალდებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე, გარდა ისეთი ეკონომიკური საქმიანობისა, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი ამ კოდექსის მიხედვით იბეგრება წყაროსთან ან განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან, განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით.

3. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა) უფლებამოსილია საქართველოში გადასახადის გადახდის ან/და დეკლარირების ვალდებულების დადგომისას, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურების გავლის გარეშე, მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი) მიუთითოს წარმოშობილი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების დეკლარირებისას და საბანკო დაწესებულებებში გადასახადის გადახდისას. ამ ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვა (ფიქსირება) ხდება მისი საგადასახადო დეკლარაციის ან/და ბანკში წარდგენილი, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების მონაცემების საფუძველზე.

4. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი ან უცხოური საწარმო, რომელსაც ამ კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად არ წარმოეშობა მუდმივი დაწესებულება საქართველოში, ვალდებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის გადახდის ან/და დეკლარირების ვალდებულების დადგომამდე განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით.

5. საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს საიდენტიფიკაციო ნომრად მიენიჭება ამავე პირის მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი.

6. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო ნომერია საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი.

6. საიდენტიფიკაციო ნომერი მუდმივია და მისი შეცვლა (გარდა შეცდომით მინიჭებულია) ან გამეორება აკრძალულია, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელს (გარდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირებისა) განცხადების წარდგენიდან 1 სამუშაო დღის ვადაში მიანიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი და ამავე ვადაში გადასცეს მას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის გადასახადის გადამხდელის მოწმობა.

8. საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის საგადასახადო რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების ფორმებს, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და

გამოყენების პირობებსა და წესებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

9. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირების საიდენტიფიკაციო ნომერი) მიუთითოს საგადასახადო დეკლარაციაში, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებთან მიმოწერისას და საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობებით დადგენილ სხვა დოკუმენტებში.

10. საგადასახადო ორგანო ამ კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოჩენისას ვალდებულია მიმართოს აღნიშნული პირის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ან თვითონ უზრუნველყოს მისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.“.

5. 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრით) გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი